

**მეშველზმნიანი წარმოებისათვის
ტაოელ ქართველთა მეტყველებაში**
**ON CONJUGATION OF VERBAL FORMS WITH AUXILIARIES
IN THE SPEECH OF GEORGIANS OF TAO**

ეკა დადიანი

ფიქრია ჭანტურია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Eka Dadiani

Pikria Tchanturia

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The Conjugation of verbal forms with auxiliaries was not a characteristic of the archaic literary Georgian. The relevant examples have begun to occur in Georgian literary monuments since the 10th-11th centuries. The descriptive patterns are widely spread in dialects, compared to the literary language. The proposed article offers an analysis of the material recorded by us in the villages of Tao (Turkey) in the course of the dialectological expedition of 2011-2022. For comparison, we have also employed the published texts of the Taoian dialect (Sh. Putkaradze, 1993; M. Paghava, 2020).

In Taoian dialect, there are the occurrences of descriptive forms of transitive verbs in Present Indicative (vṭhri-vart - vṭhrit, we dig, vr̥cqi-vart, we water, svam-ḥar, you drink), which indicate the tendency toward uniformity; they seem to be formed in the analogy of intransitive verbs (vt'iri-var (I cry), ic'ini-ḥar (you laugh) and so on). In Taoian dialect, the number of patterns of verbal forms with auxiliaries is relatively small, compared to the forms with organic formation.

It should be considered that the contact between Georgian and Turkish, to some extent, contributed to the dissemination of patterns of verbal forms with auxiliaries in present in Taoian dialect (any types of verbs in present time in Turkish are verbal forms with auxiliaries). However, considering the dynamics of the emergence and development of verbal forms with auxiliaries in the Georgian literary language and the dialects, the current situation in Taoian seems to be the result of the functioning of inner rules of development within the dialect. The same situation is found in the Kartvelian dialects – Megrelian and Lower Svan.

It can be claimed that the rule of forming verbal forms with auxiliaries in Taoian is similar to that of the Georgian literary language and the dialects, and it reflects the common Kartvelian way of verb formation.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ტაოური დიალექტი, ზმნის ფორმა-წარმოება.

Keywords: Georgian language, Taoian dialect, verb formation.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ორგანული წარმოების გვერდით გამოიყენება აღწერითი, მეშველზმნიანი ფორმები.

მეშველზმნიანი წარმოება არქაულ სამწიგნობრო ქართულს არ ახასიათებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთი ტიპის საშუალო გვარის ზმნებსა და სტატიკურ ვნებითებს აწმყოში პირველსა და მეორე პირში მეშველი ზმნის დამატება არ სჭირდებოდათ. ეს ფორმები მარტივად, უმეშველზმნოდ იხმარებოდა“ (ბარამიძე 1964: 95-105; იმნაიშვილი... 1996-I: 87). მაგ.: მე ვზი, შენ სდგა, მე შენ გიყუარ, მე შენ გძულ, შენ მე მძულ... მეშველზმნიანი წარმოების ნიმუშები ძველ წერილობით ძეგლებში X-XI საუკუნეებიდან იჩენს თავს. მომდევნო პერიოდში მათი გავრცელების არე თანდათან ფართოვდება.

აღწერითი წარმოების ფაქტები თანამედროვე სალიტერატურო ენაში გვხვდება აწმყოსა (I-II პირში) და III სერიის ფორმებში (სამივე პირში). მეშველ ზმნად, ჩვეულებრივ, გამოიყენება **ვარ / ხარ** (აწმყოსა და I თურმეობითში), **ვიყავი, იყავი, იყო / იყოს** (II თურმეობითსა და III კავშირებითში).

არის ზმნა I-II პირში ორივე რიცხვში სრულად არის წარმოდგენილი (წავსულ-ვარ, წასულ-ხარ; წავსულ-ვართ, წასულ-ხართ), მესამე პირში კი ფონეტიკურად გამარტივებულია, ა-ს სახით ერწყმის შესაბამის ფორმას (წასულ-ა < წასულ-არს).¹

მეშველი ზმნით გაფორმებულია შემდეგი ტიპის ზმნები:

აწმყოში:

ა) ერთპირიანი სტატიკური ზმნები: ვ-დგა-ვარ, ვ-ზი-ვარ, ვ-წე(ვ)-ვარ, ვ-ჩან-ვარ..

ბ) მოძრაობის აღმნიშვნელი ერთპირიანი ზმნები: მივდი-ვარ, დავრბი-ვარ, დავხტი-ვარ...

გ) ორპირიანი სტატიკური ზმნები: ვ-გონი-ვარ, ვ-ა-კლი-ვარ, მ-ი-კავი-ხარ...

დ) გრძნობის გამომხატველი ორპირიანი (ინვერსიული) ზმნები: გიყვარ-ვარ, გძულ-ვარ, მიყვარ-ხარ, მომწონ-ხარ...

III სერიაში:

ა) ყველა ერთპირიანი ზმნა: დავმდგარ-ვარ, გაეცეულ-ხარ (I თურმ.)... დავმდგარ-იყავი, დამდგარ-იყავი, დამდგარ-იყო (II თურმ.), დამდგარ-იყოს (III კავშ.)...

ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: გავზრდი-ვარ, დავმაღვი-ვარ (I თურმ.)..

გ) ორპირიანი ინვერსიული ზმნები (I თურმ.): გყვარები-ვარ, მყვარები-ხარ...

დ) ყველა გარდამავალი ზმნა, რომელთაც I-II პირის ობიექტი შეეწყობა: დამიხატავ-ხარ, დაგიხატავ-ვარ, დაუხატავ-ხარ...

მეშველზმნიანი ყალიბები სალიტერატურო ენასთან შედარებით ფართოდაა გავრცელებული დიალექტებში. ამ მხრივ კილოები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან.

¹ შდრ.: ზოგ დიალექტში (მაგ., ხევსურულში) პირველ თურმეობითში *არის* მეშველი ზმნა -ას (<არს) სახით იხმარება: მამკვდარას (ჭინჭარაული 1960: 136).

წარმოდგენილ სტატიაში გავანალიზებთ მეშველზმნიანი წარმოების შემთხვევებს ტაოურ დიალექტში ჩვენ მიერ 2011-2022 წლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციების ფარგლებში ტაოს სოფლებში² ჩაწერილ მასალაზე დაყრდნობით. შედარებისთვის გამოვიყენეთ აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური დიალექტური ტექსტები (შ. ფუტყარაძე, 1993; მ. ფაღავა... 2005; მ. ცინცაძე..., 2017; ფაღავა... 2020).

ტაოელ ქართველთა მეტყველება აღწერილი წარმოების თვალსაზრისით უმთავრესად ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა კილოებს მიჰყვება. დასტურდება განსხვავებული ფაქტებიც.

განვიხილოთ დაწვრილებით მეშველზმნიან ფორმათა გამოვლენის შემთხვევები ტაოურში.

1. გარდაუვალი ზმნები

ერთპირიანი სტატიკური ზმნები აწმყოს I-II პირში (მხოლოდობითა და მრავლობითში) ჩვეულებრივ დაირთავს **ვარ**, **ხარ** მეშველ ზმნას. მაგალითად:

ართვინში *ვზივარ* (=ვცხოვრობ) მეა; მე აქ გევზარდე, აქ ვდგავარ (= ვცხოვრობ); საცხა დგახარ, დათესე, მოთხარე; აქ ვსხევართ პალკონზე; თოვლში ვწევართ, რა-ნა გააკეთო თოვლში?

მეშველი ზმნით არის გაფორმებული მოძრაობის გამომხატველი ზმნები:

ანყარას წავდივარ; თოვლი ჩომოსულამდი მივდივართ ქომოთკე; ჩვე ზღაფული მოვდივართ, ზამთრი მივდივართ; მეც აქობაჩი დავხტივარ, ჩემებურა დავხტივარ; ჰა მიდიხარ? ეტყვიან, ჰა გარბიხარო...

განხილული ტიპის ზმნები მეშველ ზმნას გამოავლენენ III სერიაშიც. საილუსტრაციო მასალა:

პირველი თურმეობითი:

ა) სამი წელწადია თაში არ ავსულვარ; დღისი ვერსად წავსულვართ; აქ ვერ გომოვსულვართ; იქ ა(რ) ჩასულხართ? სამი მეთრო გათოვდება აქა, ედდა, აქ ვერ დამდგარვართ; გურჯი ვყოფილვართ.

მეორე თურმეობითში დაერთვის: **ვიყავ**, **იყაი/იყავ**, **იყო**:

რედაგ საქმე ქქონდა, წომოსულიყავ; აბლი წინაწინ მოსულიყაი.

III კავშირებითის³ ფორმები არ დასტურდება.

III სერიაში აღწერილად იწარმოება აგრეთვე ისეთი გარდაუვალი (ერთპირიანი, ორპირიანი) ზმნები, რომელთა აწმყო უმეშველზმნაა. მაგალითად:

I თურმეობითი:

იქ დავბადულვარ (შდრ. აწმყო: ვიბადები); ერთანე აქ დამჩალვართ (ვრჩები); შე ჩუარდნილხარ (ვარდები); თქვე გამთბარხართ (თბები); არ მოვწრილვარ, იმგუარები არ გარჩევლა ჰიჩ (ვესწრები); არაბით არ

² იგულისხმება ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის, პარხლისწყლის ხეობის ქართულენოვანი სოფლები: ჭევად (თურქ. Bıçakçılar), ბალხი (Balcılı) და ქვაბად (/ქობად/ ქობაქი/ქუბაქი; თურქ. Yüksekoba).

³ ზოგადად III კავშირებითის ფორმები ტაოურში დღეს აღარ იხმარება. შესაბამისი ფაქტები არ დასტურდება გამოქვეყნებულ და ჩვენ მიერ ჩაწერილ ტაოურ ტექსტებში.

მოწვევნიხარ იმასა (ეწევი); იმათი ლაპარიკი ჩვე ვერ მიმხვდარვართ (ვხვდები); ცქუიტა ხვა(რ)ათოფთ, ზაბა ვერ მიმხუთარვართ.

II თურმეობითი:

შენ-ნა დამალულიყავ (შდრ. აწმყო: იმალები); მე-ნა გავთბობილიყავ, შე-ნა გათბობილიყავ (თბები); ე დამჩალიყო და ეეწიეს (რჩება); იმხან ქნილიყო (იქმნება); ისენი-ნა ჩუარდნილიყვენეს (ვარდებიან).

ტაოურში ვარ, ხარ მეშველი ზმნით არის გართულებული აგრეთვე -ი სუფიქსიანი გარდაუვალი ზმნები აწმყოში (ამ ტიპის ზმნებს II სერიაში მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი შეეწყობა). მაგალითად:

მე ვიცინივარ; რა იცინიხარ? ნუ იცინიხართ; ახლა მაგონდება იქა და ვტირივარ; შიგანაჲ აღადს ორთაღული დარჩოს, ართუხ ვტირივარ, ამა რა უყო; თქვე ტირიხართ (ექსპედ. მასალა); რა ბლუიხარ ხარსავთენ (ფაღავა... 2005: 156).

ბლუი-ხარ იგივეა, რაც ბლავი-ხარ, ყვირი-ხარ, მღერი-ხარ... ფორმები, რომლებიც სხვა კილოებშიც (იმერულში, ლეჩხუმურში...) დასტურდება (კუბლაშვილი 1985: 150-151).

მეშველზმნიან ყალიბს ქმნის აგრეთვე-ავ სუფიქსიანი ზმნა:

რა ბრუნავხარ ნართსათვენ? (ფაღავა... 2005: 156).

ანალოგიური წარმოებისაა ვძინავარ („მძინავს“), ძინავხარ („გძინავს“) ფორმები, რომლებიც, სალიტერატურო ენისა და სხვა კილოებისაგან განსხვავებით, სუბიექტური წყობითაა წარმოდგენილი:

ილაჯ მაჰმენ და ისე აბლი-აბლი ვძინავარ; ფეხზე ვძინავარ; შენ ძინავხარ?

მეშველი ზმნით შეგვხვდა მარტივფუძიანი (უთემისნიშნო) ზმნა: რა ყეფხარ მანდე.

მსგავსი წარმოების ფორმები ცნობილია რიგ კილოებში. იმერ.: ვბრუნავარ, ვცურავართ (კუბლაშვილი 1985: 150-152); ქართლ.: ცეკვავხარ, ვსუნთქავარ... (კობაიძე 2011: 6).

ტაოურში მეშველ ზმნას იშვიათად დაირთავს მიყვარს ტიპის (ინვერსიული) ზმნები. მაგ.:

ჩემთან მოდი, ოღულ, ზაბა მიყვარხარ; ზაბა მომსურიხარ (=მომნატრებიხარ).

აღსანიშნავია ის ფაქტი, მეშველზმნიან წარმოებას ენაცვლება შემდეგი კონსტრუქცია: მიყვარს + კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი) + უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი. მაგ.:

შენი თაი ზორ მიყვარს (=ძალიან მიყვარხარ); ჩემი თაი გიყვარს? (=გიყვარვარ?); ჩემი თავი ზაბა უყვარან (=ძალიან ვუყვარვარ).

მსგავსი შემთხვევები შენიშნულია ფერეიდნულში: მე მიყორს შენ თავი, იმას უყორს შენ თავი, შენ გიყორს ჩემთავი, იმას უყორს ჩემთავი (ბერიძე... 2020: 512).

გამოითქვა მოსაზრება, რომ ამგვარი ფორმების არსებობა ფერეიდნულში (ასევე ინგილოურში) ორგვარად შეიძლება აიხსნას: 1. დაცულია ძველი, უმეშველზმნო წარმოება, რომელსაც პირთა გასარჩევად უკუქცევითი ნაცვალსახელი დაერთვის, 2. ეს მოდელი ფერეიდნულთა

გადასახლებაამდე არსებობდა ზოგ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში და შემორჩა იზოლირებულ დიალექტებში) (ბერიძე... 2020: 514).

ზოგადად, იდენტურ პირთა კომბინაცია (S_1O_1, S_2O_2) ენაში არაბუნებრივია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავი-ს შემცველი აღწერითი წარმოების ფორმები სწორედ ამ ტიპის ზმნებთან გაჩნდა. მაგ.:

მე მიყვარს ჩემი თავი; შენ გიყვარს შენი თავი.

მსგავსი წარმოება ანალოგიით გავრცელდა სხვა შემთხვევებშიც (როდესაც ზმნას სხვადასხვა პირის სუბიექტი და ობიექტი შეეწყობა). ამდენად, განხილული კონსტრუქცია გარკვეული ენობრივი კანონზომიერების საფუძველზე ჩანს გაჩენილი.

ტაოურში მეშველი ზმნით იწარმოება *კუმზირ* ზმნა „კუყურებ, ვუვლი“ მნიშვნელობით. მაგალითად:

გაველით, *უმზირივართ*, ბუქის საქმე არ არი; ამათ უკან *კუმზირვარ*, ამათ უკან ვარ იქსაც; თხა *უმზირივარ*, ცხვარ *უმზირივარ*; სულა ა(რ) *უმზირიხარ* ბგანოსა (გოგოს); იქიდან *უმზირიხარ*, მოა ძირიდან; შე მოხველ და რას *უმზირიხარ*? (ექსპედ. მასალა); ბიჭები ჩამოვლენ და ისინი თლიან, იმათ *უმზირვარ* (ფაღავა... 2005: 162).

შდრ.: პარალელურად გვხვდება ორგანული წარმოების ფორმაც: მათ *უმზირით*.

როგორც ვხედავთ, გარდაუვალ ზმნათა მეშველზმნიანი წარმოების მხრივ ტაოური არსებითად არ განირჩევა ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან. განსხვავებას მხოლოდ ცალკეული ზმნები ქმნიან.

2. გარდამავალი ზმნები

ტაოურში აღწერითად იწარმოება ზოგი გარდამავალი ზმნა. მაგალითად, *ვკერა(ვ)ვარ* ზმნა (წარმოდგენილია პირდაპირი წყობით):

ჩუე *ვკერავართ* (=ვიკერებთ) კიდევა და გენჯები (ახალგაზრდები) აღა(რ) *კერავან* (=იკერებენ); ჩემ ხვაათ არ *კერავხარ* შენ (= ჩემს საუბარს არ იკერებ შენ); მერთ სახელ გეზნეი და არ *კერავხარ* (= ღმერთის სახელს გეუბნები და არ იკერებ) (ექსპედ. მასალა)... ჩად მეცტანო, არ *კერავხარ*? (ფაღავა... 2020: 1061).

ტაოურში განხილული ზმნა უხმოვანპრეფიქსო და -ავ თემის-ნიშნინია, რომელსაც დაერთვის *ვარ*, *ხარ* მეშველი ზმნა. შდრ.: სალიტერატურო ენაში შეესაბამება *ვ-ი-კერ-ებ* (გაფორმებულია *ი-*პრეფიქსითა და *-ებ* სუფიქსით). *მ-კერ-ა* ზმნა ინვერსიულია (პირთა მიმართება განსხვავებულია).

მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენციას გვიჩვენებს სხვა გარდამავალი ზმნებიც. მაგ.:

-ი, -ავ, -ამ სუფიქსებით გაფორმებული ზმნები:

იმა კაჭკაჭ *უძახივართ*; ხაშორი ტყიძირ *უძახივართ*; წისქვილ *უძახივართ*, ძანი, წყლი არ *უძახივართ*; წისქვილკარ *უძახივართ*; სოლანი რა *უძახიხართ* თქუნა?

აღნიშნული ზმნა იშვიათად მეშველი ზმნის გარეშეც დასტურდება: აქ წალიკვან *უძახით*.

საინტერესოა შემდეგი ფორმები:

ხარებით *ვთხრივართ* (= ვთხრით); მარქუალი *ვთხრივართ*, ვრწყივართ (= ვრწყავთ) (ექსპედ. მასალა); შე *ჭრავხარ* (= სალიტ. ქართ.: ჭრი;

მე. ქართ.: ჭრავ); შენ *სვამხარ* (= სვამ); მე გეტყვი ქი, ორნი მოხველით, ჩაის *სვამხართ* თუ არა? (ექსპედ. მასალა); რა შერები მაგასა? *წყავხარ?* (ფაღავა... 2005: 167).

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში დასტურდება *ვრწყივარ* ფორმა, ხოლო გამოქვეყნებულ ტექსტებში (ფაღავა.. 2005) დაფიქსირდა *რწყავხარ*. ორივე ფორმა მეშველზმნიანია. სხვა შემთხვევაში *ვრწყავ* ზმნა -*ავ* თემისნიშნია: მე ვ(რ)წყავარ, შენ (რ)წყავხარ, ის (რ)წყავსა.

გარდამავალ ზმნათა აწმყოს მეშველზმნიანი წარმოება უცხოა ქართული სამწიგნობრო ენისათვის, თუმცა მეტ-ნაკლებად დასტურდება ქართველურ ქვესისტემებში (ინგილოურში, ქვემოსვანურში).

ინგილოურში (ძირითადად კაკურში) მეშველი ზმნა დაერთვის როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებს. მაგალითად: *პოულოვ-ვარ, იჭერ-ხარ, ვიცო-ვარ, იცი-ხარ...* (იმნაიშვილი 1966: 117); მე *უცუ-ვარ*, შენ *იცი-ხარ*; მე *წორავ-ვარ*, შენ *წერავ-ხარ*; მე *ხატავ-ვარ*, შენ *ხატავ-ხარ*; მე *თმამოვ-ვარ*, შენ *თმამოვ-ხარ...* (აბაშვილი 2009: 96-97). შდრ. ალიაბათ.: *ვიცი...*

ქვემოსვანურშიც მეშველი ზმნა თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის (გარდაუვალ, გარდამავალ) ზმნებთან. მაგ.: *სკურ-ხუი* „ვზივარ“, *ტუიხე-ხუი* „ვაბრუნებ-ვარ“ (შდრ. ზემოსვანურში, ძველი ქართულის მსგავსად, უმეშველზმნო ფორმები იხმარება: *სკურ* „ვზი“, *ტუიხე* „ვაბრუნებ“).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, რომ „ქვემოსვანურის ეს ვითარება ზუსტად ემთხვევა აწ უკვე მეგრულში დამკვიდრებულ ვითარებას, ყველა ზმნას რომ -ქ ერთვის აწმყოში“ (ლომთათიძე 1946: 136). -ქ სუფიქსი მეშველი ზმნის ნაშთს წარმოადგენს: **ქორენ > ქო. -ქ** სუფიქსის ფუნქციით ჭანურში იხმარება -**რ**, რომელიც ასევე მეშველი ზმნისაგან მომდინარეობს: **რენ > რ** (იქვე: 134).

მეშველზმნიანი წარმოების მხრივ ტაოური დიალექტი (აგრეთვე ინგილოური) მეგრულისა და ქვემოსვანურის ჯგუფში მოექცევა.

გარდამავალ ზმნათა აღწერითი წარმოების შესახებ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული. კერძოდ:

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, მეგრულ-ჭანური -**ქ**, -**რ** სუფიქსები თავდაპირველად გაჩნდა სტატიკურ ზმნებთან, შემდეგ დაერთო სხვა გარდაუვალ ზმნებს, ბოლოს კი ანალოგიით გარდამავალი ზმნებიც გაფორმდა. მეგრულში პროცესი დამთავრებულია. ჭანურში -**რ** დაერთვის მხოლოდ გარდაუვალ ზმნებს. -**ქ**, -**რ** სუფიქსებს, მეშველი ზმნების მსგავსად, ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის აღნიშვნა (ლომთათიძე 1946: 134).

მეცნიერის დასკვნით: „ძველ მდგომარეობას მეშველი ზმნის გამოყენების თვალსაზრისით გვიჩვენებს ძველი ქართული და ზემოსვანური. ყველაზე უფრო შეურყვნელად პირვანდელი ფუნქცია მეშველი ზმნის გამოყენებაში შემოუნახავს მაინც ახალ ქართულს, შემდეგ – ჭანურს, მეტისმეტად გაუვრცელებია მისი გამოყენება მეგრულს; მეგრულის გზას ადგას ქვემოსვანური“ (იქვე: 136).

შდრ.: ინგილოურში თხრობითი კილოს მომავალი დროის მეშველზმნიანი წარმოება აზერბაიჯანული ენის გავლენის შედეგად მიიჩნევა (ლამბაშიძე 1957: 249; იმნაიშვილი 1966: 118; ჯანგიძე 1978: 83).

ლ. ბარამიძე მეშველზმნიან ფორმათა გაჩენას პირის გამოხატვას უკავშირებს: „მეშველ-ზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდამავალი ზმნის I თურმეობითი ჩნდება. მისი დანიშნულებაა დააზუსტოს რომელი ლობა პირისა“ (ბარამიძე 1964: 144).

ამავე აზრს ავითარებს ვ. აბაშვილი: ინგილოურში „პირის ნიშანთა დაკარგვის შემდეგ მოხდა ფორმათა აღრევა, რომლის დასაძლევადაც საჭირო გახდა პირთა განსასხვავებლად მეშველი ზმნის დართვა ყველა ტიპის ზმნისათვის, რათა ენას თავიდან აეცილებინა მორფოლოგიური ომონიმია“ (აბაშვილი 2009: 98).

მეცნიერის აზრით, აღნიშნული ფორმები ინგილოურში შესაძლოა დიალექტის შინაგანი პოტენციით იყოს გაჩენილი. იქვე მითითებულია: „ინგილოურში მეშველ-ზმნიან ფორმათა წარმოშობის მიზეზების რკვევისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ უცხო ენის (აზერბაიჯანულის) მონაცემები“ (იქვე: 100).

გ. გოგოლაშვილი ინგილოურში დადასტურებულ *ჟავრობ-ხარ, ფიქროვარ, დარდობ-ხარ, ვიცი-ვარ, იცი-ხარ...* ფორმებს მეშველზმნიან ფორმათა განვითარების პროცესის კანონზომიერ გამოვლინებად მიიჩნევს. მეცნიერი მეშველზმნიან ფორმათა განვითარების 4 ეტაპს გამოყოფს: I ეტაპზე ყველა სტატიკური ზმნა ორგანული წარმოებისაა, II ეტაპზე სტატიკური ზმნები მეშველზმნიან წარმოებაზე გადადის, III ეტაპზე მეშველ ზმნას დაირთავს ვტირი ტიპის ზმნები, IV ეტაპზე კი – *ვიცი-ვარ, ვფიქრობ-ვარ* ზმნები. მისი დასკვნით: „IV ეტაპზე, ფაქტობრივ, ინგილოური დიალექტი დგას, თუმცა მთლად უცხო ეს ეტაპი არც სხვა დიალექტებისთვისაა (ვიცინივარ, ვფიქრობვარ...)“ (გოგოლაშვილი 2010: 341).

ვფიქრობთ, ტაოურ დიალექტში გარდამავალ ზმნათა აწმყოს აღწერითი წარმოების ფაქტები უნიფორმაციის ტენდენციაზე მიანიშნებს. ისინი გარდაუვალ ზმნათა ანალოგიით გაჩენილი ჩანს. ტაოურში მეშველზმნიანი ყალიბები ორგანული წარმოების ფორმებთან შედარებით მცირეა.

ენაში/დიალექტში მოქმედ შინაგან კანონებთან ერთად საყურადღებოა აგრეთვე გარე ფაქტორი, კერძოდ, თურქული ენის ძლიერი გავლენა ტაოურ დიალექტზე. ზოგადად, თურქულში (აგრეთვე აზერბაიჯანულში) აწმყოში ყველა ტიპის ზმნა მეშველზმნიანია. მაგ.: I პ.: ჩიზ-იორ-უმ „ვხატავ-ვარ“, II პ.: ჩიზ-იორ-სუნ „ხატავ-ხარ“, III პ.: ჩიზ-იორ „ხატავს“. საფიქრებელია, აწმყოს მეშველზმნიანი ყალიბების გავრცელებას ტაოურში (აგრეთვე ინგილოურში) გარკვეულწილად თურქულ ენასთან კონტაქტმაც ხელი შეუწყო. თუმცა, ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში მეშველზმნიან ფორმათა გაჩენა-განვითარების დინამიკის გათვალისწინებით, ტაოურში არსებული ვითარება დიალექტის შინაგანი განვითარების კანონების მოქმედების შედეგი ჩანს, ვიდრე გარეგავლენის ასახვა. ამას მოწმობს მეგრულისა და ქვემოხანურის ვითარებაც.

შეიძლება ითქვას: ტაოურ დიალექტში მეშველ-ზმნიან ფორმათა წარმოების წესი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავსია და ის ზმნური ფორმაწარმოების საერთოქართულ კანონზომიერებას წარმოაჩენს.

დამოწმებული ლიტერატურა

ბარამიძე 1964: ბარამიძე ლ., ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ძველ ქართულში. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №9, 1964.

ბერიძე... 2020: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. თბილისი, 2020.

გოგოლაშვილი 2010: გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა. თბილისი, 2010.

იმნაიშვილი... 1996: იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, I. მაინის ფრანკფურტი, 1996.

თოფურია 2000: თოფურია ვ., სვანური ენა. შრომები, II. თბილისი, 2002.

კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.

კობაიძე 2011: კობაიძე მ., უღლების ტიპების შესახებ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI. თბილისი, 2011.

ლომთათიძე 1946: ლომთათიძე ქ., -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში. იბერიულ-კავკასიურიენათმეცნიერება, I. თბილისი, 1946.

სუხიშვილი 1976: სუხიშვილი მ., სტატისტიკური ზმნები ქართულში. თბილისი, 1976.

უთურგაძე 1986: უთურგაძე თ., სახელის მორფონოლოგიური ანალიზი. თბილისი, 1986.

ფაღავა... 2005: ფაღავა მ., ცინცაძე მ., მაკარიძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლ., ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV. ბათუმი, 2005.

ფაღავა... 2017: ფაღავა მ., ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები – ბრუნებისა და უღლების პარადიგმები, თბილისი, 2017.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.

ღამბაშიძე 1957: ღამბაშიძე რ., მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში. თსუ შრომები, ტ. 67. თბილისი, 1957.

ცინცაძე... 2017: ცინცაძე მ., ფაღავა მ., ბარამიძე მ., ტაოური ტექსტები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, XI. ბათუმი, 2017.

ჭინჭარაული 1960: ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1960.

ჭუმბურიძე 1984: ჭუმბურიძე, მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმის ისტორიისათვის. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №25, 1984. <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/006.pdf>

ჯორბენაძე... 1988: ჯორბენაძე ზ., კობაიძე მ., ბერიძე მ., მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

ექსპედ. მასალა: 2011-2022 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში).

Джангидзе 1978: В.Т. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане. Тбилиси, 1978.